03/07/2020

სინდისის დახშობა – ნეტარი ავგუსტინეს სწავლება



ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, კაცს თვალში პატარა მტვრის ნამცეცი რომ ჩაუვარდეს თვალს აატკივებს. ასევე ჩვენი სინდისი ამხილებს კაცს პირველი და მცირე შეცდომებისთვისაც კი, მაგრამ უკეთუ კაცმა განაგრძო შეცდომა და სინდისის მხილება არ შეისმინა, მაშნ ის მიემსგავსება სირაქლემას კუჭს, რომელიც რკინასაც კი ინელებს.

ასეთი დამწვარი სინდისი შეიძლება შევადაროთ გაყინულ წყალს, რომელიც წინათ ნემსსაც ვერ იმაგრებდა, ახლა კი იმდენად გასქელდა, რომ რკინით დატვირთულ ურმებს იმაგრებს. კაცი, რომელიც ხშირად ცოდავს, ბოლოს ცოდვების შეგრძენას კარგავს და სინდისი ეხშობა.

— karibche.ambebi.ge